



საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს  
გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

მოსამართლე -- -- მიმართ  
დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის თაობაზე

15 ივნისი, 2018 წელი

ქ. თბილისი

დისციპლინური საქმე №172/17

-- -- 2017 წლის 06 ოქტომბრის №-- საჩივრის საფუძველზე, „საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-7 მუხლის შესაბამისად (2018 წლის 01 მაისამდე მოქმედი რედაქცია), საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ, მოსამართლე -- -- მიმართ დაიწყო დისციპლინური სამართალწარმოება. 172/17

წინასწარი შემოწმების შედეგად მომზადებული 2018 წლის 30 აპრილის №172/17 დასკვნა დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ წარდგენილ იქნა საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2018 წლის 15 ივნისის სადისციპლინო სხდომაზე განსახილველად.

**1. დისციპლინური დევნის დაწყების საფუძვლიანობის შემოწმება განხორციელდა საჩივრებში მითითებულ შემდეგ ფაქტებზე:**

-- საქალაქო სასამართლოს (მოსამართლე -- --) მიერ განხილულია ბრალდებულ -- -- მიმართ, აღკვეთის ღონისძიების გამოყენებისა და წინასასამართლო სხდომის თარიღის განსაზღვრის საკითხები. აღნიშნულთან დაკავშირებით, წარმოდგენილ დისციპლინურ საჩივარში მითითებულია შემდეგ ფაქტებზე:

**1.1.** სასამართლომ ბრალდებულს არ განუმარტა საპროცესო უფლება-მოვალეობები.

**1.2.** აცილების უფლების განმარტებისას, სასამართლომ მხარეებს მიმართა შეკითხვით, ხომ არ ჰქონდათ ერთმანეთის მიმართ აცილება. მომჩივანს მიაჩნია, რომ კონკრეტულ შემთხვევაში სასამართლოს ასევე უნდა გამოერკვია ბრალდებულის პოზიცია, დამცველის აცილების თაობაზე და მხარეებს ჰქონდათ თუ არა თვითაცილების შუამდგომლობა.

1.3. მხარეთა მოსაზრებების მოსმენის შემდეგ, მოსამართლემ განაცხადა, რომ გადიოდა სათათბიროდ, თუმცა სხდომის დარბაზში დარჩა და ადგილზე ითათბირა.

1.4. სასამართლო, 2017 წლის 26 სექტემბრის განჩინებაში იყენებს ტერმინს „წინასწარი გამოძიება“. მომჩივნის განმარტებით, გაუგებარია აღნიშნულში რას მოიაზრებს მოსამართლე, ვინაიდან, სისხლის სამართლის პროცესი შედგება 2 სტადიისგან: 1. გამოძიება; 2. სასამართლო.

1.5. სასამართლო, 2017 წლის 26 სექტემბრის განჩინებაში მხედველობაში იღებს ბრალდებულის ნასამართლობის ფაქტს. მომჩივანი თვლის, რომ კონკრეტულ შემთხვევაში სასამართლომ არ გაითვალისწინა არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის მე-12 მუხლის მოთხოვნა, ნასამართლობის გაქარწყლებასთან დაკავშირებით.

**2. დისციპლინური საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების შედეგად დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ დადგენილი იქნა შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:**

2.1. 2017 წლის 24 სექტემბერს, -- შს -- სამმართველოს განყოფილების მიერ, ქ. --, ---, ---, ---, მდებარე მაღაზიის მარცხის ფაქტთან დაკავშირებით, სისხლის სამართლის საქმეზე #-- დაიწყო გამოძიება.

2017 წლის 24 სექტემბერს, საქმეზე ბრალდებულის სახით დაკავებული იქნა -- --.

-- საქალაქო სასამართლოს (მოსამართლე -- --) 2017 წლის 26 სექტემბრის განჩინებით, დაკმაყოფილდა -- -- რაიონული პროკურატურის პროკურორის, -- -- შუამდგომლობა; ბრალდებულ -- -- აღკვეთის ღონისძიების სახით შეეფარდა პატიმრობა; -- -- პატიმრობის ვადის ათვლა დაეწყო დაკავების მომენტიდან, 2017 წლის 24 სექტემბრის 12:22 საათიდან.

-- სააპელაციო სასამართლოს (მოსამართლე -- --) 2017 წლის 03 ოქტომბრის განჩინებით, -- -- ინტერესების დამცველი ადვოკატის, -- -- საჩივარი, -- საქალაქო სასამართლოს 2017 წლის 26 სექტემბრის განჩინებაზე, ცნობილია დაუშვებლად.

**3. საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შეფასება:**

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75<sup>1</sup> მუხლის მე-2 პუნქტი განსაზღვრავს მოსამართლის დისციპლინური გადაცდომის სახეებს. იმისათვის, რომ დადგინდეს ჰქონდა თუ არა ადგილი მოსამართლის მიერ შესაბამისი გადაცდომის ჩადენის ფაქტს, საჭიროა სამართლებრივი შეფასება მივცეთ მოცემულ საქმეზე დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს და შევაფასოთ კონკრეტული ფაქტები, შეიცავენ თუ არა დისციპლინური გადაცდომის ნიშნებს.

**3.1.** წარმოდგენილ საჩივარში მომჩივანი აცხადებს, რომ აღკვეთის ღონისძიების განხილვის სასამართლო სხდომაზე, სასამართლომ ბრალდებულს არ განუმარტა საპროცესო უფლებამოვალეობები.

საქართველოს სსსკ-ის 197-ე მუხლის პირველი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, აღკვეთის ღონისძიების გამოყენების შესახებ შუამდგომლობის წარდგენიდან არა უგვიანეს 24 საათისა მაგისტრატის მოსამართლე ბრალდებულის სასამართლოში პირველი წარდგენის სხდომაზე მხარეთა მონაწილეობით ბრალდებულს განუმარტავს ბრალდების არსს და მის უფლებებს, მათ შორის, წამებისა და არაჰუმანური მოპყრობისათვის საჩივრის (სარჩელის) შეტანის უფლებას;

საქმეში წარმოდგენილი მასალების თანახმად, 2017 წლის 26 სექტემბრის სასამართლო სხდომაზე, მოსამართლემ ბრალდებულს განუმარტა ბრალდების არსი, მოსალოდნელი სასჯელი; განუცხადა, რომ მასზე ვრცელდებოდა საქართველოს სსსკ-ის 38-ე მუხლით გათვალისწინებული უფლებები (დაკონკრეტების გარეშე), მათ შორის: დაცვის უფლება, დუმილის უფლება, თარჯიმნის საქმეში მონაწილეობის უფლება; სასამართლომ გამოარკვია ასევე, ბრალდებულის შემთხვევაში ხომ არ არსებობდა წამებისა და არაჰუმანური მოპყრობის ფაქტი და განუმარტა აღნიშნულზე საჩივრის (სარჩელის) შეტანის უფლება; შესაბამისად, ის გარემოება, რომ ბრალდებულს არ განემარტა კანონით მინიჭებული საპროცესო უფლებამოვალეობები, არ დასტურდება. ამასთან, საკითხის ობიექტურად და სრულად შეფასებისთვის, აქვე უნდა დაზუსტდეს, რომ საქართველოს სსსკ-ის 38-ე მუხლის შემთხვევაში, განმარტება არასრული სახით იყო წარმოდგენილი. შესაბამისად, სასამართლოს მხრიდან ადგილი აქვს საქართველოს სსსკ-ის 197-ე მუხლის პირველი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტის დარღვევას.

დისციპლინური სამართალწარმოების მიზნებისა და საბოლოო დასკვნისთვის, არსებული მოცემულობა პარალელურად მნიშვნელოვანია შეფასდეს შედეგობრივადაც. კერძოდ, გამოირკვეს ის გარემოება, თუ რამდენად იყო შესაძლებელი საპროცესო წესის დარღვევას გამოეწვია მხარის უფლებების/საჯარო ინტერესების საწინააღმდეგო უარყოფითი შედეგი.

საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა სადისციპლინო კოლეგიის 2013 წლის 12 აპრილის გადაწყვეტილებაში (საქმე №1/04-12), სადისციპლინო კოლეგია განმარტავს: „დიდი მნიშვნელობა ენიჭება დაშვებული შეცდომის ხარისხს. თუ მოსამართლის მიერ დაშვებულია ისეთი უმნიშვნელო შეცდომა, რომელსაც არ მოჰყოლია მხარეების უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დარღვევა და არც რაიმე უარყოფითი შედეგი მიღებულა, მაშინ მცირე დარღვევის გამო, ქმედება მიიჩნევა სამართლებრივ შეცდომად, თუმცა შესაძლებელია მოსამართლემ ისეთი შეცდომა დაუშვას, რომელსაც შედეგად საჯარო წესრიგის დარღვევა მოჰყვეს. საჯარო წესრიგის კონცეფცია გამოხატავს

სახელმწიფოს ძირითად და ფუნდამენტურ სამართლებრივ (მათ შორის მორალურ) პრინციპებს და მისი დარღვევით ილახება არა მარტო კონკრეტული სამართალურთიერთობის მონაწილეთა უფლებები, არამედ იმავდროულად იგი ვნებს, პირველ რიგში, სახელმწიფოსა და საზოგადოებრივ ინტერესს. შესაბამისად, თუ დაშვებულია ისეთი შეცდომა, რამაც გამოიწვია საჯარო წესრიგის დარღვევა, მაშინ მოსამართლის მიერ დაშვებულ შეცდომას შეიძლება მიენიჭოს დისციპლინური გადაცდომის კვალიფიკაცია“.

განსახილველ შემთხვევასთან მიმართებით უნდა აღინიშნოს, რომ ბრალდებულ -- --, საქართველოს სსსკ-ის 38-ე მუხლით გათვალისწინებული უფლება-მოვალეობები განმარტებული ჰქონდა: ბრალდებულის დაკავების ოქმით (ს.ფ. 29-33); დადგენილებით - პირის ბრალდების შესახებ (ს.ფ. 171-174); ბრალდებულის გამოკითხვის ოქმით (ს.ფ. 175-178); ამასთან, აღნიშნულის პარალელურად საგულისხმოა ის გარემოებაც, რომ საქმეზე გამოძიების ეტაპიდან, მათ შორის, სადავო სასამართლო სხდომაზეც, ბრალდებულის ინტერესებს იცავდა 2 დამცველი, ადვოკატი. შესაბამისად, არსებული მოცემულობა, გონივრულ ეჭვს მიღმა ადასტურებს, რომ ბრალდებული ინფორმირებული იყო საპროცესო უფლება-მოვალეობებზე. შესაბამისად, შედეგობრივად არ დგინდება ბრალდებულის ინტერესების საზიანო/საჯარო ინტერესების საწინააღმდეგო უარყოფითი შედეგი.

ამდენად, სახეზეა მოსამართლის მხრიდან სამართლებრივი შეცდომა, რაც დაუშვებელს ხდის ფაქტს მიენიჭოს დისციპლინური გადაცდომის კვალიფიკაცია. შესაბამისად, არ დასტურდება მოსამართლის მიერ „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75<sup>1</sup> მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტით განსაზღვრული გადაცდომის ჩადენის ფაქტი.

**3.2.** საჩივრის ავტორის განმარტებით, აცილების უფლების განმარტებისას, სასამართლომ მხარეებს მიმართა შეკითხვით, ხომ არ ჰქონდათ ერთმანეთის მიმართ აცილება. მომჩივანს მიაჩნია, რომ კონკრეტულ შემთხვევაში სასამართლოს ასევე უნდა გამოერკვია ბრალდებულის პოზიცია, დამცველის აცილების თაობაზე და მხარეებს ჰქონდათ თუ არა თვითაცილების შუამდგომლობა.

საქმეში წარმოდგენილი მასალების (სასამართლო სხდომის აუდიო ოქმი) თანახმად, დგინდება შემდეგი გარემოებები:

2017 წლის 26 სექტემბრის სასამართლო სხდომაზე, მხარეთა გამოცხადების/დასწრების შემოწმების, სასამართლო შემადგენლობის დასახელების შემდგომ, მოსამართლემ მხარეებს მიმართა შეკითხვით, „აცილება ხომ არ გაქვთ ჩვენს (მოსამართლის, სხდომის მდივნის) მიმართ.. კი ბატონო.. 59-ე მუხლის თანახმად, რამე ხომ არ არის თქვენს შორის გამომრიცხავი გარემოება? .. კარგით, კი ბატონო...“.

უნდა აღინიშნოს რომ საქართველოს სსსკ-ის 59-ე მუხლი ადგენს სისხლის სამართლის პროცესში მოსამართლის, ნაფიცი მსაჯულის, პროკურორის, გამომძიებლის ან სასამართლო სხდომის მდივნის მონაწილეობის გამომრიცხავ გარემოებებს, ხოლო, ამავე კოდექსის მე-60 მუხლი - სისხლის სამართლის პროცესში ადვოკატის მონაწილეობის გამომრიცხავ გარემოებებს.

სასამართლო სხდომის ოქმიდან ირკვევა, რომ სასამართლომ თავდაპირველად გამოიკვლია მოსამართლის და სხდომის მდივნის აცილების საკითხი (საქართველოს სსსკ-ის 59-ე მუხლი) და აღნიშნულის შემდეგ, კვლავ საქართველოს სსსკ-ის 59-ე მუხლზე მითითებით, გააგრძელა მხარეთა შორის აცილების თაობაზე საკითხის გამოკვლევა. უნდა აღინიშნოს, რომ განმეორებით 59-ე მუხლზე აპელირება რელევანტურია მხოლოდ სახელმწიფო ბრალმდებელთან (პროკურორთან) მიმართებაში, თუმცა სასამართლო ასახელებს მითითებულ მუხლს და მიმართავს ორივე მხარეს, მრავლობითში „...59-ე მუხლის თანახმად, რამე ხომ არ არის თქვენს შორის გამომრიცხავი გარემოება“. მიუხედავად იმისა, რომ სასამართლო საქართველოს სსსკ-ის 59-ე მუხლის პარალელურად არ ასახელებს ამავე კოდექსის მე-60 მუხლს, სასამართლოს შეკითხვა აშკარად მიმართულია როგორც ბრალდების, ასევე დაცვის მხარის, მათ შორის, ბრალდებულის მიმართაც, „59-ე მუხლის თანახმად, რამე ხომ არ არის თქვენს შორის გამომრიცხავი გარემოება?“ შესაბამისად, შეკითხვა, არსებული ფორმულირებით, მხარეებს თანაბარ შესაძლებლობას აძლევდა, წარმოედგინათ შუამდგომლობები, აცილების არსებობის შემთხვევაში.

ამდენად, არ დასტურდება მოსამართლის მიერ „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75<sup>1</sup> მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტით განსაზღვრული გადაცდომის ჩადენის ფაქტი.

**3.3.** საქართველოს სსსკ-ის 192-ე მუხლი ადგენს სასამართლოს განჩინების მიღების 2 პროცედურულ წესს, სათათბირო ოთახში გასვლით და სათათბირო ოთახში გაუსვლელად, ადგილზე თათბირით.

მომჩივნის განმარტებით, მხარეთა მოსაზრებების მოსმენის შემდეგ, მოსამართლემ განაცხადა, რომ გადიოდა სათათბიროდ, თუმცა სხდომის დარბაზში დარჩა და ადგილზე ითათბირა.

საქმეში წარმოდგენილი 2017 წლის 26 სექტემბრის სასამართლო სხდომის აუდიო ოქმის თანახმად, სასამართლო აცხადებს, რომ გადაწყვეტილების მისაღებად გადის სათათბირო ოთახში. თუმცა, აუდიოჩანაწერის თანახმად, არ ირკვევა ის გარემოება, სასამართლომ სათათბიროდ ნამდვილად დატოვა თუ არა სხდომის დარბაზი.

ფაქტის ნამდვილობის დადგენისთვის, 2018 წლის 18 მაისს წერილი გაეგზავნა სსიპ საერთო სასამართლოების დეპარტამენტს, სადავო სხდომის ვიდეოჩანაწერის საქმეზე წარმოდგენის თხოვნით. სსიპ საერთო სასამართლოების დეპარტამენტის თავმჯდომარის, -- 2018 წლის 28 მაისის წერილის თანახმად, ვიდეოჩანაწერი ვერ იქნა წარმოდგენილი, არქივში არსებული ფაილის დაზიანების გამო.

ამდენად, მომჩივნის მიერ მითითებული ფაქტების დამადასტურებელი მტკიცებულება ვერ იქნა მოძიებული, ასეთის არარსებობის გამო. აღნიშნულზე მტკიცებულება არც მომჩივნის მიერ ყოფილა წარმოდგენილი საქმეზე.

მიუხედავად არსებული მოცემულობისა, უნდა აღინიშნოს, რომ ფაქტის დადასტურება/დაუდასტურებლობა არ წარმოადგენს დისციპლინურ კუთხით რელევანტურ გარემოებას, ვინაიდან ამ მიმართებით წესის დარღვევა, ზეგავლენას არ ახდენს და არ იწვევს მხარეთა უფლებების/საჯარო ინტერესების მიმართ უარყოფით შედეგებს. კერძოდ, უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს სსსკ-ის 192-ე მუხლი წარმოადგენს მოსამართლის უფლებას, თავად შეარჩიოს/განსაზღვროს დანაწესის ფარგლებში გადაწყვეტილების მიღების პროცედურა. წესის დარღვევის შემთხვევაში კი, სახეზე შესაძლოა გვექონდეს მხოლოდ ფორმალური დარღვევა, რაც არ წარმოშობს რაიმე სახის სამართლებრივ შედეგებს. შესაბამისად, დანაწესის დარღვევის დადასტურებულად მიჩნევის შემთხვევაშიც, ფაქტი ვერ შეფასდება დისციპლინურ გადაცდომად, მოსალოდნელი შედეგების გათვალისწინებით.

ამდენად, არ დასტურდება მოსამართლის მიერ „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75<sup>1</sup> მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტით განსაზღვრული გადაცდომის ჩადენის ფაქტი.

**3.4.** „... დასაბუთებულია ვარაუდი, რომ მოსალოდნელი სასჯელის შიშით ბრალდებული დაემალოს წინასწარ გამოძიებას და სასამართლოს“ - აღნიშნავს სასამართლო 2016 წლის 26 სექტემბრის განჩინების სამოტივაციო ნაწილში. აღნიშნულთან დაკავშირებით, მომჩივანი განმარტავს, რომ ტერმინს „წინასწარი გამოძიება“ მოქმედი საპროცესო კანონი არ იცნობს და ამ მიმართებით, სასამართლო განჩინებაში უშვებს შეცდომას.

საკითხზე დისციპლინური კუთხით მსჯელობისათვის მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ „წინასწარი გამოძიების“ ტერმინი, მიუხედავად იმისა, რომ იგი მოქმედი საპროცესო კოდექსით ამგვარი შემადგენლობით აღარ გხვდება, ერთმნიშვნელოვნად მაინც იგიველება საქმის განხილვის გამოძიების სტადიასთან. შესაბამისად ტექსტში „გამოძიების“ მითითების შემთხვევაშიც, შინაარსობრივი მნიშვნელობა იდენტურად აღიქმება. აღნიშნულიდან გამომდინარე, არსებული უზუსტობა უნდა შეფასდეს ტექნიკურ და უმნიშვნელო ხასიათის ხარვეზად, რასაც არ შეეძლო რაიმე სახის სამართლებრივი შედეგის გამოწვევა.

შესაბამისად, არ დასტურდება მოსამართლის მიერ „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75<sup>1</sup> მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტით განსაზღვრული გადაცდომის ჩადენის ფაქტი.

**3.5.** „არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის“ საქართველოს კანონის მე-12 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, არასრულწლოვანს ნასამართლობა გაქარწყლებულად ეთვლება სასჯელის მოხდისთანავე, ხოლო პირობით მსჯავრდებისას – გამოსაცდელი ვადის გასვლისთანავე.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-7 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, მოსამართლე თავის საქმიანობაში დამოუკიდებელია. მოსამართლე ფაქტობრივ გარემოებებს აფასებს და გადაწყვეტილებებს იღებს მხოლოდ საქართველოს კონსტიტუციის, საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპებისა და ნორმების, სხვა კანონების შესაბამისად და თავისი შინაგანი რწმენის საფუძველზე.

საქართველოს სსკ-ის 82-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, მტკიცებულება უნდა შეფასდეს სისხლის სამართლის საქმესთან მისი რელევანტურობის, დასაშვებობის და უტყუარობის თვალსაზრისით. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, მტკიცებულებას არა აქვს წინასწარ დადგენილი ძალა.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75<sup>10</sup> მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად დისციპლინური სამართალწარმოების დროს დაუშვებელია მოსამართლის მიერ გამოტანილი აქტების კანონიერებაზე ზედამხედველობა.

საქმეში წარმოდგენილი მასალების თანახმად:

- -- საქალაქო სასამართლოს 2015 წლის 23 აპრილის განაჩენით, არასრულწლოვანი -- -- (დაბადებული: -- -- --) ცნობილია დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 19, 178-ე მუხლით, რისთვისაც, საბოლოო სასჯელად, საქართველოს სსკ-ის 55-ე და 88-ე მუხლების საფუძველზე, განესაზღვრა 1 წლისა და 6 თვის ვადით თ/აღკვეთა, რაც საქართველოს სსკ-ის 63-64-ე მუხლების საფუძველზე, ჩათვალა პირობით, 1 წლისა და 6 თვის ვადით გამოსაცდელი ვადით.

- საქართველოს შსს საინფორმაციო ცენტრის 2017 წლის 25 სექტემბრის ცნობაში მითითებულია ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ -- -- გასამართლებულია -- საქალაქო სასამართლოს 2015 წლის 23 აპრილის განაჩენით;

- საქმეში, პირობითი მსჯავრის გაუქმება/შემცირებასთან დაკავშირებით, ინფორმაცია არ მოიპოვება;

- 2017 წლის 25 სექტემბრის დადგენილებით, პირის ბრალდების შესახებ, -- -- ცნობილია ბრალდებულად 2017 წლის 24 სექტემბერს განხორციელებულ ქურდობის ფაქტთან დაკავშირებით, საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ დანაშაულში (ქურდობა, ე.ი. სხვისი მოძრავი ნივთის ფარული დაუფლება მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია, ჩადენილი წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ);

- 2017 წლის 26 სექტემბრის სასამართლო სხდომაზე, ბრალდების და დაცვის მხარე ადასტურებდნენ, რომ ახალ დანაშაულს ადგილი ჰქონდა, ბრალდებულის ნასამართლობის გაქარწყლების შემდგომ; ნასამართლობის გაქარწყლებასთან დაკავშირებით, მხარეები საუბრობდნენ ზოგადად, კონკრეტული ფაქტების მითითების გარეშე;

- 2017 წლის 20 სექტემბრის განჩინებაში (ბრალდებულის სასამართლოში პირველი წარდგენისა და აღკვეთის ღონისძიების გამოყენების თაობაზე) სასამართლო მიუთითებს: „...ბრალდებულის წარსული მიაწინებს დანაშაულის შესაძლო ჩადენისკენ მის მიდრეკილებაზე. -- -- ნასამართლევა საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის. კერძოდ, 2015 წლის 23 აპრილს -- -- -- საქალაქო სასამართლოს მიერ ცნობილი იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 19, 178-ე მუხლის პირველი ნაწილით.“

მომჩივანი აღნიშნავს, რომ „არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის“ საქართველოს კანონის მე-12 მუხლის თანახმად, ბრალდებულს გაქარწყლებული ჰქონდა ნასამართლობა. შესაბამისად, სასამართლომ 2017 წლის 26 სექტემბრის განჩინებაში არასწორად მიუთითა ბრალდებულის ნასამართლობის ფაქტზე.

არსებულ მოცემულობით, უნდა აღინიშნოს, რომ საქმეში წარმოდგენილი მასალების თანახმად, ერთმნიშვნელოვნად არ დგინდება ის გარემოება, ბრალდებულმა ახალი დანაშაული ჩაიდინა თუ არა ნასამართლობის პერიოდში. კერძოდ, ზემოაღნიშნული ნაწილი მტკიცებულებების (განაჩენი; საქართველოს შსს საინფორმაციო ცენტრის ცნობა) საფუძველზე, 2017 წლის 24 სექტემბრის მდგომარეობით, ბრალდებულის ნასამართლობის მქონეა, თუმცა, აქვე თუ მხედველობაში მივიღებთ 2017 წლის 26 სექტემბრის სასამართლო სხდომაზე მხარეთა (ბრალდება, დაცვა) პოზიციებს, ნასამართლობის ფაქტი სადავოა. ივარაუდება, რომ პირს შესაძლოა ახალი დანაშაულის ჩადენის დროისთვის ნასამართლობა მოხსნილი/გაქარწყლებული ჰქონოდა.

ამდენად, ნასამართლობის ფაქტის დადგენის პროცესისთვის რელევანტურია:

- მტკიცებულებათა ანალიზი;



- იმ საკითხის დადგენა, ფაქტის უტყუარობის მიზნებისათვის თუ რამდენად საკმარისია საქმეში წარდგენილი მტკიცებულებები;
- ამგვარი საჭიროებს შემთხვევაში, საქართველოს სსსკ-ის მე-5 მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, მტკიცებულების შეფასების დროს წარმოშობილი ეჭვის, ბრალდებულის (მსჯავრდებულის) სასარგებლოდ გაწყვეტა.

უნდა აღინიშნოს, რომ ამგვარი სამართლებრივი პროცესი და მიღებული დასკვნები, მთლიანად ეფუძნება მტკიცებულებათა შინაგანი რწმენით შეფასებებს, რის გამოც, მსგავსი საკითხების კანონიერება შესაძლოა გადამოწმდეს მხოლოდ სასამართლო წესით. შესაბამისად, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75<sup>10</sup> მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, სასამართლო აქტების კანონიერებაზე ზედამხედველობა, რასაც საფუძვლად უდევს მოსამართლის შინაგანი რწმენით შეფასებები, დისციპლინური სამართალწარმოების ფარგლებში ვერ განხორციელდება.

ამდენად, არ დასტურდება მოსამართლის მიერ „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75<sup>1</sup> მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტით განსაზღვრული დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ფაქტი.

#### **4. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივი საფუძვლები:**

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75<sup>12</sup> მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო იღებს დასაბუთებულ გადაწყვეტილებას მოსამართლის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ, თუ დისციპლინური საქმის გამოკვლევის შედეგად მოსამართლის მიერ ამ კანონით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ფაქტი ან ბრალეული ჩადენა არ დადასტურდა.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 50-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, სადისციპლინო საკითხზე გადაწყვეტილება მიღებულად ითვლება, თუ მას ფარული კენჭისყრით მხარს დაუჭერს საბჭოს სრული შემადგენლობის არანაკლებ 2/3-ისა.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ საჩივარზე შესაბამისი გარემოებების შესწავლისა და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების შეფასების შედეგად მიიჩნია, რომ არ არსებობს „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75<sup>1</sup> მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ფაქტი.

შესაბამისად, 2018 წლის 15 ივნისის სადისციპლინო სხდომაზე ჩატარებული ფარული კენჭისყრის შედეგად (სადისციპლინო სხდომაზე საკითხის განხილვაში მონაწილე იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 13 წევრთაგან 13 ხმით, სრული შემადგენლობის 2/3-ის უმრავლესობა), საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ მიიჩნია, რომ მოსამართლე -- -- - მიმართ უნდა შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ იხელმძღვანელა „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 50-ე მუხლით და 75<sup>12</sup> მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით და

### **გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :**

დისციპლინურ საქმეზე №172/17 მოსამართლე -- -- მიმართ შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება.

გიორგი მიქაუტაძე

საქართველოს იუსტიციის  
უმაღლესი საბჭოს მდივანი